№ 181
აგვისტოს 25, კვირა 1902 წ.
1877

ივერია

№ 181
აგვისტოს 25, კვირა 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ სექტემბრიდან წლის დამლევამდე გაზეთი

„ივერია“

ღირს **ოთხ მანეთად** და **თხუთმეტ შაურად** (4 მ. 75 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118)და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ბალახანაში:—ალექსანდრე ალხაზიშვილთან.
ხონში:—ნესტორ წერეთლისა და ს. ბახტაძის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
გორში: ანტონ კასრაძესთან.
განჯაში: ა. ი. ალხაზიშვილთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“.

საწყობი ქაღალდის

მოსკოვი. 1882 წ

დიტიატკოვსკის ამხანაგობის

ნოვგოროდი 1896წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი და საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, აგრეთვე ალბომის ქაღალდი ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

მაღაზია საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად**.

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.

ტელეფონი № 66. (30—6.—10)

ფინანსთა სამინისტროს გამგებლობაში მყოფი

საბუჰალტერო კურსები

ნ. ვ. აბრაამიანისა

(იხილე მე-4 გვერდზე) (25—379—24)

მოსკოვი
1893

ს.-პეტერბურგი
1870

ნ.-ნოვგოროდი
1897

სავაჭრო სახლი

დონნერისა და ლეიტცისა

ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა, ტელეფონი № 145.

ჟირარდის მნუფაქტურების სააქციონერო საზოგადოებისა.

საწყობში მუდამ ბლომად არის ამოსარჩევად

ტილოსი, ბამბისა და ფინდა-ჩულქის საქონელი.

ავეჯის გადასაკვრელი მაცერიები, პორტიერები, ფარდები, ხალიჩები და იატაკის საფენები

საგნები მატულისა და აბრეშუმისა.

საცვლები ქალისა და კაცისა

მზითევი.

მზადდება შეკვეთით საქონელი სახაზინო და კერძო დაწესებულებათათვის. დაწვრილებით პრეის-კურანტი მსურველს უფასოდ გაეგზავნება. ჟირარდის მანუფაქტურის საქონელი პარიჟის 1990 წ. მსოფლიო გამოფენაზედ ღირს იქმნა უმაღლესის ჯილდოსი Grand Prix-ისა.

შავი-ქვის მრეწველთა კრების საბჭოსაგან.

შავი-ქვის მრეწველთა კრების საბჭო ამით აცხადებს, რომ 31 აგვისტოს ამა 1902 წ., დღისით 12 საათზედ, საბჭოს სადგომში ქალაქ ქუთაისს დანიშნულია

ვაჭრობა

ჭიათურაში ორის სამრეწველო გზის გაკეთების იჯარით გასაცემად „ნაფარცხევ-გოგოლაურისა“ და „კოკოცაურის“ გზისა, სულ ხარჯთ-აღრიცხვით 8,724 მან. 33 კაპეიკისა. ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, უნდა წარმოადგინოს ვაჭრობის დაწყებამდე ზედ მეათედი გადადებულის ფულისა (10%) ან ნაღდად, ან მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ პროცენტიან ქაღალდებად (გირაოს მოწმობანი არ იქნება მიღებული). ხარჯთ-აღრიცხვანი, პროფილები და პირობანი შეიძლება გაისინჯოს ყოველ დღე საბჭოს სადგომში. დამტკიცება, ანუ არ დამტკიცება ვაჭრობის შედეგისა დამოკიდებულია საბჭოზედ. (3—6.—3)

სასწავლებელი

და

პანსიონი

გ. ლ. ყუზანოვისა

იღებს ბავშვებს სრულ და ნახევარ პანსიონერებათ და აგრეთვე გარედან მოსიარულედ და ამზადებს ყველა სახელმწიფო სასწავლებელთათვის. აგრეთვე მიიღება ყველა სასწავლებელში მოსიარულე ბავშვები ბინით. ბავშვებს მიიღებენ 22 აგვისტოდგან. სწავლა 2-ს სექტემბრიდან დაიწყება. პანსიონი იმყოფება სოლოლაკში, ბებუთოვის (წინეთ სადოვის) ქუჩაზე, სახლი ექიმ ქუჩარიანცისა № 50. (5—407—2).

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, № 30.

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. წლ.

არტისტობის მსურველთა საყურადღებოდ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა წელს აპირებს გამოსაცდელ წარმოდგენის გამართვას; ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღება ვისაცა ჰსურს, უნდა განაცხადოს თეატრის კანტორაში დილის 10—12 საათამდის. (3—მ.—3)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

კ. ი. ბძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

მ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 სათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ბრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირის, 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

ტფილისი, 25 აგვისტოს.

როდესაც მეურნეობასა და სამეურნეო წარმოებაზედ ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი—ყოველთვის თვალ-წინ უნდა გვედგას განსაკუთრებული თვისება ამ წარმოებისა, რომელიც ერთის მხრივ დამახასიათებელი არის მისი და მეორეს მხრივ განსაკუთრებულ ფარგალში აყენებს.

სამეურნეო წარმოება, მეურნეობა, იმითი განსხვავდება, სხვათა შორის, სამრეწველო წარმოებათაგან, რომ უფრო ძრიელ დამოკიდებულია რიცხვ-მრავალ და მრავალ-გვარ ვითარებაზედ. ეს სხვა-და-სხვა გვარი ვითარება ერთბაშად ჰმოქმედებს მეურნეობასა და სამეურნეო წარმოებაზედ. ამნაირი მოქმედება იმდენად ძლიერი და აუცილებელია, რომ გაუმჯობესება, მაგ. ერთის ან ორიოდე რომელიმე ვითარებისა მაშინ, როდესაც დანაშთენნი უცვლელად რჩებიან, კიდევ ვერ ააყვავებს მეურნეობას, ვერ გამოიყვანს სწორე გზაზედ.

სწორედ იმიტომაა, რომ მეურნეობას არ ემჩნევა თვალ-საჩინო წინსვლა, როდესაც მის გასაუმჯობესებლად ცალ-მხრივ საშუალებას ხმარობენ და არა აქვთ სახეში ყველა ნაკლი შეავსონ, უმთავრესი მოთხოვნილება დააკმაყოფილონ, რადგან ეს მოთხოვნილებანი, როგორცა ვსთქვით, ერთბაშად ჰმოქმედებენ მეურნეობაზედ.

აი ,ეს მოსაზრება გვედო გულში, როდესაც ვამბობდით, რომ სახეში უნდა გვქონდეს მისი დამახასიათებელი ვითარება და აი სწორედ ის გარემოება აყენებს მეურნეობას განსაკუთრებულს ფარგალში, რომ თუ მეურნეობის აღყვავება გინდათ, ყველა გარემოებისათვის უნდა იქონიოთ ზრუნვა და არა ერთისა და ორისათვის, რადგან ამით ან არა გამოვა-რა და ან ძალიან ცოტა რამ გარიგდება.

გადავიდეთ მაგალითებზე. ყველა გარემოებანი რომ არ ჩამოვთვალოთ, დავყოთ იგინი ორ უმთავრეს ჯგუფად. პირველი ჯგუფისა ის გარემოებანი იქმნება, რომელზედაც დამოკიდებულია ტეხნიკა მეურნეობისა. მეორე ჯგუფი შეეხება ეკონომიურ კერძოობას. წარმოიდგინეთ, რომ ყველა ტეხნიკური მოთხოვნილება დააკმაყოფილეთ და ამ საშუალებით მიაღწიეთ მას, რომ უწარჩინებულესი მოსავალი მოგყავთ; სხვა-და-სხვა მცენარეთა და პირუტყვთა რიცხვი გაამრავლეთ, შემოიღეთ უჩინებულესი სისტემა, რიგი მეურნეობისა და ამავე დროსკი გზები არ გივარგათ; რკინის გზა შორს არის და ან სულ არ გაბადიათ; ბაზარი არა აქვს თქვენს ნაწარმოებსა, ან კიდევ მუშა ძვირია და მეტად ძვირად გიჯდებათ მოსავლის მოყვანა და მაშინების შემოღებისთვის უნარი და, უკეთ ვსთქვათ, ფული არა გაქვთ; ყოველივე კარგად და ბლომად მოგიყვანიათ და კრედიტი-კი არა გაქვთ, რომ მაშინ გაჰყიდოთ სოფლის ნაწარმოები, როდესაც ფასი ექმნება დ ჩალის ფასად, ხშირად დიდის ზარალით არ გადააგდოთ; აბა, ყოველივე ეს და მრავალი სხვა ამნაირი გარემოებანი გაითვალისწინეთ და ნუ იტყვით მაშინ: რა ღმერთი გამიწყრა, რაზედ დავხარჯე ამდენი შრომა და ფული, მაშინ, როდესაც უგზოობის გამო, ნაჭირნახულევი ვერ გამიტანია; ბაზრის უქონლობის გამო ვერ გამიყიდნია და ან ძვირად დამჯდარი, გაძვირებულ მუშის ხელით (და არა მაშინების საშუალებით) მოყვანილი მოსავალი ზარალით როგორ გავყიდო, აქაო-და უცხოეთიდგან მოტანილი იგივე საქონელი ჩვენში უფრო იაფად იყიდება, რადგან უცხოეთში წარმოება თურმე უფრო იაფად უჯდებათ იქაურ მეურნეებსა...

დიაღ, გაითვალისწინეთ ყოველივე ეს და უთუოდ იტყვით, რომ ცარიელ ტეხნიკის გაუმჯობესება ჯერ კიდევ ვერ მოუყვანს მეურნეობას გაზაფხულსა და მკვიდრს ნიადაგზედ ვერ დააყენებს.

ესევე მაგალითი სხვაფრივ გამოვიყენოთ: წარმოვიდგინოთ, რომ ეკონომიური გარემოება საუკეთესოა, მხოლოდ ტეხნიკა არ გივარგათ, ე. ი. არა გაქვთ ცოდნა ნაკლების ხარჯით მეტისა და საუკეთესო მოსავლის მოყვანისა. აქაც დაინახავთ, რომ ცალ-მხრივობა, ამ შემთხვევაშიაც გაგიმწარებთ სიცოცხლეს და სასოწარკვეთილებას მიგცემთ.

ჩვენ მხოლოდ სიმარტივის გულისთვის დავასახელეთ ორი ჯგუფი. ნამდვილად-კი მარტო ამ ორ ჯგუფის ჰარმონიაზედ არ არის დამოკიდებული წარმატება მეურნეობისა. თვითეული ჯგუფი კიდევ განიყოფება მრავალ სხვა ჯგუფებად, რომელთა ზედგავლენა მეურნეობაზედ მეტად ძლიერია და, მაშასადამე, მათ შორისაც საჭიროა იგივე ჰარმონია. თუ ამასთანავე მოვიხსენიებთ, რომ მეურნეობას ჯერ კიდევ ვერ დაუხსნია თავი ბუნების ტყვეობიდგან, რადგან ჰავა და ნიადაგი, სხვათა შორის, ორი უმთავრესი ფაქტორია მისის აღყვავებისაცა და დაცემისაცა, მაშინ უფრო თვალ-საჩინოდ დავინახავთ, რა დიდი ფიქრი, ცოდნა და გამჭრიახობა არის საჭირო, რამდენი გარემოება უნდა იყოს მიღებული სახეში, რომ მეურნეობის ასაყვავებლად ხერხიანი ღონისძიება იყოს დასახელებული.

ამიტომაც არის, რომ არც ცალკე ადამიანს და არც კერძო ჯგუფს არ ძალ-უძთ დასდონ მალამო დაძაბუნებულ მეურნეობის წყლულსა. ამისთვის საჭიროა ერთგვარის წეს-წყობილების შემოღება რათა შეერთებულის ცოდნით აიწონოს ყველა მოთხოვნილებანი, მეურნეობისა და შეერთებულის ღონით მოხმარებულ იქმნას მის სასარგებლოდ რიგიანი საშუალებანი. მხოლოდ ვინ უნდა წარმოადგენდეს ამ შეერთებულს ცოდნას და ძალას?

როგორც რუსეთის ყველა გუბერნიებში, ისე ჩვენშიაც თითქო წესად შემოვიდა, რომ მეურნეობის ყოველს გასაჭირში უთუოდ მთავრობას მიჰმართონ საშველად და მხოლოდ იმისგან მოელიან დახმარებასა. თითქო გვავიწყდება ის ჭეშმარიტება, რომ თვით საზოგადოებასაც აწევს მოვალეობა მხარი დაუჭიროს მთავრობას ზოგიერთ ადგილობრივს სამეურნეო საქმეში და თვითონაც იკისროს ამ მხრივ შრომა. დიდებულმა ყმათა განმათავისუფლებელმა იმპერატორმა ალექსანდრე II შემოიღო ერობა, რომელსაც მიანდო ზრუნვა და ფიქრი ადგილობრივ სამეურნეო საგნებისათვის და მით დაგვანახა, რომ საზოგადოების უფლებასთან ერთად მოვალეობაც აწევს წინაშე სახელმწიფოსი.

ერობამ, როგორც ვიცით, დიდი ღვაწლი დასდო და სავსებით გაამართლა გვირგვინოსანის რეფორმატორის იმედები. ეხლა ის გუბერნიები, სადაც ერობა არის შემოღებული, ყოველის მხრივ მაღლა სდგას დანაშთენ გუბერნიებზედ, რადგან ერობა წარმოადგენს სწორედ იმ წეს-რიგს, რომელსაც აქვს უნარი შეერთებულის ცოდნით იკვლიოს ყოველნაირი საგანი და შეერთებულისავე ძალით განახორციელოს საუკეთესო საშუალებანი.

აი, ჩვენც სწორედ ამ ნაირ წეს-წყობილებას ვნატრულობდით ზემოდ და იგი გვქონდა სახეში, როდესაც ვიკითხეთ: ვინ უნდა წარმოადგენდეს ჩვენში შეერთებულ ცოდნას და ძალას? ერობა—ვიტყვით ახლა ჩვენ პასუხად. მხოლოდ ერობას შეუძლიან, თავისი ორგანოების დახმარებით, ყოველ მხრივ შეისწავლოს ჩვენი მეურნეობა, ასწონ-დასწონოს მასზედ მომქმედი გარემოებანი, დაგვისახელოს უტყუარი საშუალებანი მეურნეობის ასაყვავებლად. ერობა არამც თუ მარტო დაგვისახელებს,—არამედ თითონვე განახორციელებს ამ საშუალებათა მოხმარებას მეურნეობისა და, მაშასადამე, სახელმწიფოს სასარგებლოდ. ჩვენის ფიქრით, ყველაზედ წინ ერობის შემოღების საჭიროება უნდა დავასახელოთ, როდესაც გვკითხავენ, რა საშუალებანი არიან საჭირონი, რათა სამეურნეო წარმოება მკვიდრ ნიადაგზედ დადგეს.

ერობა მოგვცემს ღონისძიებას ყოველ მხრივ გავითვალისწინოთ ჩვენი მეურნეობა.

ერობა მოგვცემს ძალას, რათა სასარგებლოდ ცნობილნი საშუალებანი სავსებით იყოს განხორციელებული ცხოვრებაში.

უმაღლესად დაარსებულმა საბჭომ, მეურნეობის საზრუნველად დაწესებულმა, როგორც ვუწყით, გაუგზავნა ადგილობრივ კომიტეტებს პროგრამები და მასთანვე დასძინა, რომ იმ პროგრამმის გარეშეც შეიძლება იქონიონ კომიტეტებმა მსჯელობაო, თუ ადგილობრივი ვითარება ითხოვს ამასაო.

ჩვენის აზრით, უწინარეს ყოვლისა ჩვენ მიერ ამ მხრივ უნდა იყოს შევსებული ეს პროგრამმა, რომ მეურნეობის ასაყვავებლად უტყუარ და უახლოეს საშუალებად ჩვენში ერობის შემოღება უნდა იყოს დასახელებული.

დღევანდელს ნომერში მკითხველი ჰნახავს მ. სარსქის ხუციანცის წერილს. ვინ იცის, იქნება ჰაისტანელებს და მეტადრე სომხურ გაზეთებს გაუხარდეთ მ. მთავრის ხუციანცის წერილის დაბეჭდვა და ნიშნმოგებით წამოიძახონ: „ჰეჰ, ეხლაც იყვირებთ, ხუციანცი ქართველიაო, როცა თვითონ მ. ხუციანცი საქვეყნოდ „აღიარებს, წმინდა სომეხი ვარო“. ჩვენის აზრით-კი ეს სიხარული უსაფუძვლოა და ნაადრევი. უნდა გამოვტყდეთ, რომ იმ ფრიად საყურადღებო საგნის გამოკვლევაში, არიან და იყვნენ, თუ არა ქართველთა შორის გრიგორიანები, სომხურმა გაზეთებმა მეცნიერულ სიმშვიდეს მოკლებული მსჯელობა გამოიჩინეს. ჩვენის აზრით, ეს გარემოება ნათლად ამტკიცებს, რომ თვითონ სომხები დარწმუნებულნი არიან და თავიანთ ისტორიულ წყაროებიდან კარგად იციან, რომ დიდ-ძალმა ქართველობამ ოდესმე გრიგორიანობა მიიღო, იციან ეს.

მარტო ობსკურანტიზმი-კი არა, დიდი დანაშაულობაა. ცხადია სომხურ გაზეთებს ეს ჩვენის რედაქციისაგან „გამომჟღავნებული ისტორიული ფაქტი უბრალო სალაყბო საგნადკი არ უნდა გაეხადათ, არამედ ჩვენთან ერთად მეცნიერულის მხრივ უნდა გამოერკვიათ.

ჩვენ განგებ დავურთეთ ეს წინასიტყვაობა ამ ჩვენს შენიშვნას ზემოხსენებულის წერილის გამო. მართლაც, როგორც სჩანს, ჩვენი ქართულ-სომხური პრესსა—სუბუქად უყურებენ საქმეს, რომ მეცნიერული გამოკვლევა მივანდეთ უსუსურ ბავშვებს და ეს ბავშვები დავაჯერეთ, რომ ვითომ-და მათს ტიკტიკს ამ მეცნიერულ გამოკვლევაში რაიმე დახმარება შეუძლიან. დიაღ, სომხურ გაზეთების ქცევამ ამ საყურადღებო ისტორიულ ფაქტის გამოკვლევაში მისცა საბუთი ბავშვებს თავისის ტიტინით შეებნენ მეცნიერულს გამოკვლევას.

საჭიროდ ვრაცხთ აღვნიშნოთ, რომ ბავშვურ ტიტინს არავითარი კავშირი არა აქვს მეცნიერულ გამოკვლევასთან.

მთავარს მ. სარქის ხუციანცს ჰგონია, რომ თავისის წერილით დაამტკიცა თავისი ჰაისტანელობა. ჩვენს გაზეთში ხუციანცი და გძელიანცი დასახლებულნი იყვნენ, სხვათა შორის, მაგალითისათვის და კიდევაც რომ მტკიცდებოდეს ხუციანცის წერილით მისი ჰაისტანელობა, მაინც ის ძირითადი საგანი, არიან თუ არა ქართველთა შორის გრიგორიანები, ამით არც გადასწყდება, არც გამორკვევას მიუახლოვდება. ხოლო ჩვენ მაინც-და-მაინც ვგონებთ, რომ ხუციანცი დიდად შემცდარია, როცა თავის თავს ჰაისტანელად სთვლის. ხუციანცი ამბობს, დედ-მამა ჰაისტანელები მყვანდნენო, ხოლო საქართველოში ჩვენ სომხებმა სომხური არ ვიცოდით და ქართულად ვლაპარაკობდითო. კარგი და პატიოსანი. მაშ, სჩანს, მისი მშობლები ქართველ მართლ-მადიდებლებისაგან იმით განირჩეოდნენ მხოლოდ, რომ სომხური რჯული, ე. ი. გრიგორიანობა სწამდათ. მერე ის ქართველნი, რომელთაც ოდესმე გრიგორიანობა მიიღეს, ვინ არიან—სომეხნი თუ ქართველნი?! მამა ხუციანცისა დაიბადა საქართველოში, ლაპარაკობდა მხოლოდ ქართულად,—ცხოვრებით, ყოფა-ქცევით, ჩვეულებებით არაფრით განირჩეოდა ქართველისაგან, ხოლო გრიგორიანი იყო სარწმუნოებით; განა, ამით არ მტკიცდება, რომ ის ქართველი იყო და არა ჰაისტანელი?! ვიდრე ეს წერილი დაიბეჭდებოდა, უფრო საეჭვო იყო, ქართველი იყო ხუციანცის მამა, თუ არა. ამ წერილის შემდეგ-კი ჩვენ და—ვგონებთ—ბევრი სხვაც, დარწმუნდება, რომ ხუციანცი ჩამომავლობით ქართველი ყოფილა—ხოლო ქართველი-გრიგორიანი.

ჩვენის მხრივ დავარწმუნებთ ჰაისტანელებს, რომ ქართველ გრიგორიანი ძალიან წმინდა შემნახველია სომხურის ნაციონალურისა და რჯულის განსაკუთრებულ თვისებათა. ეს დამტკიცდა ათიათასჯერ. ქართველი მაჰმადიანებისთანა თავიანთ რჯულის შემნახავი ნაკლებად მოიპოვება მთელ მაჰმადიძნობაში. იმასაც ნუ დავივიწყებთ ამასთანავე, რომ საქართველოს ერთს კუთხეში ის ქრათველნი, უფრო ნიჭიერნი და ყველაზე დაწინაურებული იყვნენ, რომელნიც არ დასთანხმდანენ გამაჰმადიანებას და, რადგანაც რჯულის გამოცვლა აუცილებელ საჭიროებად გახდა, ირჩიეს გრიგორიანობა. კიდეც იმიტომა ვართ ჩვენ ქართველნი გულ-ნატკენნი, რომ ძალა და ნიჭი იმათი, ვინც ჩვენს სარწმუნოებას განშორდა, გამოადგა სხვაერთა პროგრესს და არა ჩვენის ერისას. სწორედ იმიტომა გვაქვს საინტერესოდ, რომ ქართველი გრიგორიანები დარჩნენ ქართველებად და თავისი ენა კარგად დაიცვან და არ წაალეკინონ თავი იმ ტალღას, რომელიც, როგორც „ნორ-დარის“ რედაქცია ამჟღავნებს, ჩვენც-კი, ქართველ მართმადიდებლებსაც-კი, გვიქადის გასომხებას. o sancta simplicitas! მაგრამ, ეტყობა, „ნორ-დარს“ გულში ჩამარხული აქვს გამოგონებული რაღაც სალსარი ჩვენის გასომხებისა და დაიმედებული ამ სახსარზე მუქარით გვეუბნება, გაგასომხებთო. თორემ, აბა, განა „ნორ-დარის“ რედაქციამ არ უნდა იცოდეს, რომ იმ ენის მოსპობა, რომელზედაც ექვსასის წლის განმავლობაში შუაგულ სპარსეთის მცხოვრებნი გამაჰმადიანებულნი ქართველნი დღესაც ლაპარაკობენ, იმ ენის მოსპობა, რომელზედაც სომეხი მარტო მაშინ არ ლაპარაკობს, როცა საყდარში არის, ან სომხურ გაზეთის რედაქციაში, რომელსამე სომეხთ საზოგადოებაში იმ ენის მოსპობა თუ შეუძლებელი არა, ძალიან ძნელი მაინც არის.

ტ ფ ი ლ ი ს ი

◆ ორშაბათს დანიშნულია განსაკუთრებული კრება (особое совѣщаніе) გუბერნიის და მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლებისა და დეპუტატებისა. ახალის წესდების ძალით ამ განსაკუთრებულმა კრებამ წინად უნდა განიხილოს და მერე მოახსენოს თავად-აზნაურთა კრებას გადასაწყვეტი საკითხები. ამ ჟამად განსაკუთრებულს კრებას განსახილველად აქვს შვიდი საკითხი: 1) სათავად-აზნაურო ბანკის მოგების საზოგადო საჭიროებათა სასარგებლოდ განაწილება, რომლის უფლება უმაღლესის ბრძანებით მიენდო თავად-აზნაურობას; 2) რა დანიშნულება უნდა მიეცეს 40 ათასს მანეთს უმაღლესად ნაბოძებს თავად-აზნაურთა შვილების აღსაზრდელად; 3) მოხსენება დუშეთის მაზრის წინამძღოლის გ. ა. ყარანგოზიშვილისა იმის შესახებ, რომ იშუამდგომლონ იარაღის ტარების წესის შეცვლის შესახებ; 4) გეგმა თავად-აზნაურთა სახლების გადაკეთებისა და გადიდების შესახებ: განზრახულია სათავად-აზნაურო ბანკის ბინის გაფართოვება, სადეპუტატო კრების ბინისა და თავად-აზნაურთა კრების დარბაზის აშენება და წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიისა, მუზეუმისა და წიგნთსაცავის ბინის აშენება; 5, სასოფლო-სამეურნეო თანხის წესდების შემუშავება; 6, განხილვა იმათის თხოვნებისა, რომელთაც ჰსურთ დაიბრუნონ სათავად-აზნაურო ბანკის დამფუძნებელთა თანხაში შეტანილი ფული და 7, ხარჯთ-აღრიცხვა სადეპუტატო კრების შესანახად. ჩამოთვლილ მოხსენებათაგან 1, 2 და მე-3 განხილულნი იქნებიან თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზედ, რომელიც ენკენისთვის დამდეგს მოხდება; მე-4, 5 და მე-6 მოხსენებანი შემუშავებულნი და დაბეჭდილნი დაურიგდებათ თავად-აზნაურთ და განხილულ იქმნებიან მომავალ მორიგს კრებაზედ ქრისტიშობის თვეში; ხოლო მე-7 საკითხი, რომელიც სადეპუტატო კრების ხარჯთ-აღრიცხვას შეეხება და სათავად-აზნაურო კრების განხილვის სათანადო არ არის, პირდაპირ გუბერნატორს დასამტკიცებლად წარედგინება.

◆ ტფილისის გუბერნატორს არა ერთხელ უთხოვნია ქალაქის გამგეობისთვის, რომ მიხეილის ქუჩის არხი ან შეაკეთოს, ან სულ გააუქმოს, მაგრამ გამგეობას ეს თხოვნა ჯერ არც-კი განუხილავს. გუშინ გუბერნატორისაგან მოუვიდა ქალაქის თავს მოწერილობა და სთხოვს მალე შეატყობინოს, რა მდგომარეობაშია ზემოხსენებულ არხის საქმეო.

◆ იმ კომისიის წევრთა კრება, რომელსაც დავალებული აქვს ქალაქის ხორცის დუქნების მოწყობა და ხორცზედა და პურზედ ნიხრის შემცირება, დანიშნულია მომავალ კვირის ხუთშაბათსა.

◆ ქალაქის დუქნების მეთვალყურე კომისიის წევრთა კრება, დანიშნული 23 ამ თვეს, არ შესდგა, რადგანაც კომისიის წევრნი არ გამოცხადდნენ. სხვათა შორის, ამ კრებაზედ უნდა განხილულიყო ხორცისა და პურის ნიხრის შეცვლის საქმეც.

◆ ტაშკენტის I გილდის ვაჭრის ჰენრიხ ვილჰელმის ძის დიურმშდიდტის წარმომადგენელმა შეიტანა ქალაქის გამგეობაში განცხადება და სთხოვა, ქალაქის საყასბოში დაკლულ საქონლის ნაწლევები მე დამითმეთ ერთის წლის განმავლობაშიო. ჰენრიხ დიურმშდიდტს ამ საგნისთვის ერთის წლის გარდასახადი წინ-და-წინ შეაქვს ქალაქის კასსაში და ჰკისრულობს 500 მან. ჯარიმის გარდახდასაც, თუ ამ ვადაზედ ადრე დაანება თავი იჯარასა; ჰენრიხ დიურმშდიდტი სთხოვს გამგეობას, თუ საჭიროდ დაინახავთ, ეხლავე შემეკარით პირობით შემდეგის წლებისთვისაცაო.

◆ ქალაქის ხორცის დუქნებიდგან 22 ამ თვეს შემოსულა 567 მან. 36 კაპ.

◆ ქალაქის დროებით ბეითალმა ამ დღეებში შეიტანა გამგეობაში განცხადება, რომლიდგანაც სჩანს, რომ მაისის განმავლობაში გაუსინჯავს 5,000 სული საქონელი, რომელიც საყასბოში მორეკეს დასაკლავად; მიუხედავად ამისა,—დასძენს ბეითალი, როგორც საყასბოში დაკლულ საქონლის სიებიდგან სჩანს, ამავე ხანში საყასბოში დაკლულა 28,000 სული, ე. ი. 23,000 სული დაუკლავთ ექიმის გაუსინჯავადაო. ამიტომ ბეითალი სთხოვს გამგეობას მოახდინოს განკარგულება, რომ საყასბოს ადმინისტრაციას არ შეეძლოს ექიმის გაუსინჯავად საქონლის დახოცვა.

◆ 23 აგვისტოს მოხდა შეერთებული კრება ქალაქის ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისიისა დ გამგეობის იმ წევრთა, რომელნიც მოწვეულნი იყვნენ ამ კრებაზედ; კრება უნდა უკანონოთ ეცნოთ, რადგანაც ბევრნი არ დაესწრნენ; მაგრამ რადგანაც ამ კრებაზედ მიწვეული იყო ბ-ნი მირზოევიც, რომელიც იჯარით იღებს ზამთრობით საქონლის გამოკვებას, ამიტომ თავმჯდომარემ გააცნო იგი კომისიის მიერ შემუშავებულ პირობებს; ბ-ნი მირზოევი დასთანხმდა ამ პირობებზედ, გარდა თივით კვებისა, რომლის ფასიც მან ფუთზედ 14 და 15 კაპიკი დაუნიშნა. თავმჯდომარეც დასთანხმდა ბ-ნ მირზოევის ამ თხოვნას.

◆ ამ რამდენისამე დღის წინად, ქიმიკოსმა თავ. ნ. ა. ჩოლოყაშვილმა ქალაქის გამგეობას წარუდგინა პროექტი ტფილისის ქუჩებისა და მოედნების გაზით განათებისა; თავ. ჩოლოყაშვილი თითო ფარნის 2200 საათის განმავლობაში განათებისათვის თხოულობს 11 მანეთსა; საქველ-მოქმედო და სახელმწიფო დაწესებულებათა გასანათებლად თხოულობს 0,6 კაპეიკისას, კერძო სახლისას 0,8 კაპ. საათში. ჩოლოყაშვილი ქალაქს ყოველ წლიურად ჰპირდება 6% შემოსავლიდან და აღუთქვა დაეხმაროს იმ ხარჯებშიაც, რაც მიუვა გამგეობას ფარნების შესაძენად. ჩოლოყაშვილი სთხოვს, რადგანაც ელექტრონით მხოლოდ ზოგიერთი ქუჩები და მოედნები უნდა განათდეს, ამიტომ დანარჩენის ნაწილის განათებას მე ავიღებო იჯარით; ჩოლოყაშვილი 36 წლის ვადას თხოულობს გამგეობისაგან; ამ ხნის განმავლობაში უნდა ისარგებლოს შემოსავლით; მხოლოდ ქალაქს შეუძლიან ამ ვადაზედ ადრეც გამოისყიდოს განათება ჩოლოყაშვილისაგან.

◆ ამ თვის 27 ქალაქის გამგეობაში დანიშნულია კრება ქალაქის ტეხნიკოსებისა, რათა მათ დაადგინონ დრო თავ-თავის გამგეობაში მეცადინეობისა. არა ერთი მაგალითი ყოფილა, რომ მიდის რომელიმე სახლის პატრონი ტეხნიკოსის სანახავად და ეს-კი წასულია ქალაქში საქმეზედ; ამნაირად მათს ძებნაში გადის თითქმის ერთი კვირა და სახლის პატრონი თითონაც ზანდდება დ საქმესაც სცდება სულ უბრალო რჩევის გულისათვის.

◆ საპატიმროთა უწყების აგურხანებში კრწანისის მიდამოებში მუშაობის დროს აღმოუჩენიათ ქვის ნახშირი.

◆ გუშინ, 24 აგვისტოს, კრება იყო დანიშნული გამგეობის წევრთა, საფინანსო კომისიისა და ხუროთ-მოძღვრებისა: შიმკევიჩისა, ბილფელდისა და გრიქუროვისა, რომელთაც უნდა განეხილათ სხვა-და-სხვა საგნები გოგოლის სახელობაზედ ძეგლის დადგმის შესახებ ალექსანდრეს ბაღში.

◆ ზოგიერთ იმათგანმა, რომლებიც კანდიდატებად იქმნენ დანიშნულნი პირველ ამომრჩეველთა უბანში მომავალ ოთხის წლის საბჭოს ხმოსნობის თანამდებობაზედ, უარი განაცხადეს კანდიდატობისა. ამიტომ პირველ უბნის კომიტეტმა გარდასწყვიტა შეავსოს კანდიდატთა სია, რისთვისაც სექტემბრის პირველ რიცხვებში უნდა დაინიშნოს ამ უბნის ამომრჩეველთა საერთო კრებაო.

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

პატიოსანი ცოლი.

(ქმრის დღიურიდგან)

24 აპრილი.

რაღაცა ამბავი მემართება!

თითქოს უჩინარი ტალღა ნელ-ნელა მეპარებოდეს და ჩემის ოჯახის მყუდროებას წალეკას ემუქრებოდეს!

ნუ-თუ ეჭვი დამებადა და ისა მღრღნის?

არა, შეუძლებელია! ეს ხომ შეურაცხყოფა იქნება ჩემის ცოლისა, რომელსაც ისე ძალიან ვცემ პატივს?!

რა უცნაურია ადამიანის ბუნება! ტაროსივით ცვალებადია! საკმარისია მცირე ნიავი, რომ მზით გასხივოსნებული დღე ღრუბელმა მოიცვას და გააპირქუშოს.

ადამიანიც ასეა.

შვიდი წელიწადია, რაც ოჯახის მყუდროებით ვსტკბები. ჩემის ცხოვრების ჰორიზონტზედ არამც თუ ღრუბელი, მცირე ნისლიც-კი არ გამოჩენილა. ქმარი ვარ მშვენიერის არსებისა, მამა-ანგელოზებრ ქალ-ვაჟისა. ცოლს ვუყვარვარ, შვილები მაღმერთებენ. საზოგადოებაში პატიოსან და თვალ-საჩინო კაცად ვითვლები. ყველანი შემომნატრიან — შენი ოჯახი მადლ-მოსილობის სავანეა, ბედნიერების ნავთ-საყუდელიო.

მეც კარგად ვგრძნობ, რომ ეს სიტყვები მართალია.

მაგრამ...

ოჰ, ეს „მაგრამ!“ რა უდრო-უდროოდ მეჩხირება თვალში და მიშხამავს ნეტარ წარმოდგენას!

მერე, რომ იცოდეთ, ვის შეეხება ეს „მაგრამ..“ სასაცილოც-კია, ღმერთმანი, ამის გამხელა...

ჩვენსა სცხოვრობს ჩემის ცოლის ერთი შორეული ნათესავთაგანი... გიმნაზიაში სწავლობს... მერვე კლასშია. შარშან ქუთაისის გიმნაზიიდგან გამოაბძანეს, მასწავლებელს რად შეუკურთხეო. იმისმა მამამ მხოლოდ ახლა გაიხსენა, რომ სადღაც ტფილისში არსებობს თქვენი უმორჩილესი მონა, რომ ამ კაცს გავლენა უნდა ჰქონდეს, რაკი სამსახურში კარგი ადგილი უჭირავს და რომ ეს კაცი ქმარია მისის, ვითომ-და ახლობელის, ნათესავ ქალისა.

რაღა თქმა უნდა, გააჭრელა ამ ბატონმა უშველებელი ეპისტოლე და დიდის მოწიწებით მოგვართვა შვილის ხელით. სხვათა შორის, მუდარებით აღსავსე უსტარში შემდეგი ეწერა: „ჩემი მუტრუკი გამომიგდეს გიმნაზიიდგან... ვიღუპები კაცი და, მიყავით წყალობა, ეგებ მანდ სადმე მიაღებინოთ. ერთი, კურსი-კი გაათავოს და მერე, ჯანდაბას მაგისი თავი, თითონ გაიკვლიოს გზა ცხოვრებისაო“.

გიმნაზიაში მივაღებინეთ და ჩვენსა დავაყენეთ...

რას წარმოვიდგენდი, რომ ეს მუტრუკი ასე ამირევდა დავთრებს? ან რა მიზეზით ამერია დავთრები, ვერ გამიგია?!

ჰო, ის უცნაური, გამოურკვეველი ღიმილი... თითქოს რაღაც საიდუმლოება, საიდუმლოება, მხოლოდ მათთვის ცხადი, იფარებოდა ამ ღიმილში.

ერთხელ მე და ჩემი ცოლი ფრანგულ მოთხრობას ვკითხულობდით. ერთ ადგილას მძინარე ქალის სხეული იყო აწერილი. ცოტა არ იყოს, მოურიდებლობის ელფერი ედო ამ აწერილობას... ჩვენი მდგმურიც იქავე იყო, ყურს გვიგდებდა. კითხვის დროს შემთხვევით თვალი ცოლს შევავლე... ქალს სახე წამოწითლებული ჰქონდა და ამ უცნაურის ღიმილით ამეტყველებული სახე ყმაწვილის კაცისაკენ მიექცია.

ამ გვარი მეტყველება სახისა როგორღაც მეცნაურა, თითქოს კვლავ ნანახი მქონდა.

მოთხრობის წაკითხვის შემდეგ, ფიქრმა წამიღო... ვსცდილობდი მომეგონებინა, სად და როდის მენახა ჩემის მეუღლის სახეზედ ასეთი მოძრაობა და მოვიგონე კიდეც... ჩვენის შეუღლების პირველ ხანში მეც სწორედ ასე მორცხვად და იდუმალად მომღიმარე დამიწყებდა ხოლმე ცქერას, როდესაც წიგნში უწმაწური რამ შემხვდებოდა ქალ-ვაჟას ხორციელ დამოკიდებულობის გამო.

ხომ არის ისეთი დამოკიდებულობა, რომლის გახსენება თვით ცოლ-ქმარსაც-კი წამოაწითლებს და საჩოთირო მდგომარეობაში ჩააგდებს..

რად უმზერდა ასე ჩემი ცოლი თავისს ნათესავს? რად, რად?

საკვირველი ხასიათის კაცი ვარ... რად უმზერდაო... ათასი მიზეზია... იქნება, ცნობის მოყვარეობა იყო—ვნახოთ, რას იგრძნობს გულ-უბრყვილო ახალგაზდა ამ უჩვეულო ამბავის მსმენელიო? ან, შეიძლება, ნათესავური მზრუნველობა ამოძრავებდა—ცუდად არ იმოქმედოს ასეთმა ნაწერმა ყმაწვილ კაცზეო... ვინ იცის, იქნება, სირცხვილმა წამოუწითლა სახე, რომ უწმაწურ სცენას სხვის თანდასწრებით ვუკითხავდი...

ვიმეორებ, ათასი მიზეზია-მეთქი.

მე-კი უსვინიდისოდ ვიქცევი... რაღაც უხამსი აზრი მომდის ფიქრად, თითქოს ვიეჭვნეულობდე... შორს! შორს ჩემგან დუხჭირო ფიქრებო! ჩემს ცოლს თქვენ მწიკვლს ვერ მოსცხებთ...

ჩემი ცოლი პატიოსანია!

7 მაისი.

კიდევ!..

არა, რაღაც ძალამ ჩემის თავიდგან გონება განდევნა და შიგ ეშმაკი დაასახლა.

მოსვენებას არ მაძლევს ეს ეშმაკი. მუდამ მისი, სულის აღმძვრელი, ხმა მესმის... ყურში საშინელ სიტყვებს ჩამომძახის... თვით უმნიშვნელო მოვლენაც-კი ამ ეშმაკის ხელში ბუმბერაზად იზრდება..

სულიერ ღერძად გამხდომია იგი და, ურმის თვალივით, სულ ერთსა და იმავე ფარგალში მატრიალებს... ერთსა და იმავე სურათს არ მაშორებს თვალიდგან.

აი, ეს სურათიც:

ერთხელ სამსახურიდგან შინ დავბრუნდი... ცოლი არ დამხვდა. ბიჭმა მითხრა, ქალბატონი ბაღში გახლავთო.

ბაღში ჩავიარე და ხეივნისაკენ გავწიე... ჩემ ცოლს ამ ხეივანთან უყვარდა ყოფნა; იქვე გძელი სავარძელი იდგა და ვარდის ბუჩქები იყო. მართლაც იმისი ხმა მომესმა, ვიღაცას ელაპარაკებოდა.

მოსაუბრეთ ისე მივუახლოვდი, რომ ვერ გაიგეს; ბილიკზედ აბიბინებულ გაზაფხულის ბალახში ფეხის ბაკუნი არ ისმოდა.

ხეივანთან სავარძელზედ ისხდნენ ჩემი ცოლი და მისი ნათესავი. ისინი ვერა მხედავდნენ, რადგან ხეივნის კუთხე მფარავდა... მე-კი ვხედავდი...

ჩემი ცოლი რაღაცაზედ იცინოდა... ყმაწვილი-კი ხმა-დაბლა ელაპარაკებოდა.

ერთბაშად ქალმა ყმაწვილს ხელი მოხვია კისერზედ და სახე გადაუკოცნა!..

ამ დროს თავს წავადექი გაფითრებული და ხელებ-დამუჭული .. მზად ვიყავი გამძვინვარებულ მხეცივით ვცემოდი ამ მეძავ დედაკაცს და სალახანა ბიჭს!

მაგრამ ცოლმა აბრუ არ გაიტეხა... წამოდგა და ღიმილით ჩემსკენ გამოემართა. ყმაწვილი მილურსმულივით სავარძელს შერჩა.

ქალის ასეთმა თავხედობამ გამაშრო და წინ ბიჯი ვეღარ გადამედგა.

— წარმოიდგინე!—შემომცინა ცოლმა—რა ახირებული რამ არის კოწია! ატეხილა, მაისის ვარდის მიკარება ხორცის კანზედ ისევე ჰმოქმედებს, როგორათაც ადამიანის ტუჩების შეხება, თითქოს რაღაც სითბო ჰქონდესო!.. რაღა თქმა უნდა, სისულელეა ასეთის აზრის აკვიატება, მაგრამ ვერას გზით ვერ გავტეხე... ავდექი და საქმით დავუმტკიცე, რომ შემცდარია!.. არც ახლა გჯერა, ყმაწვილო?!—მიუბრუნდა კოწიას—არა გჯერა, რომ უცნაურია შენი წარმოდგენა! ვარდი გათოშილია და ადამიანის სახე-კი—მგზნებარე!.. არა?—მომმართა კვლავ მე—არც შენ გჯერა? აბა, მაშ, სცადე... არა, სცადე! დარწმუნდი და ესეც დაარწმუნე!—აქ იგი მომიახლოვდა და ლოყა მომიშვირა საკოცნელად.

ქალის სიტყვა-პასუხი იმდენად იყო გულწრფელობის იერით მოსილი, ისეთი ლაღი, ბუნებრივი ღიმილი უკრთოდა სახეზედ, თვალებშიაც კდემა-მოსილება იმ ზომამდე ჩაჰსახლოდა და ატამივით ბუსუს მოდებული ლოყა ისე იზიდავდა კაცს, რომ ხმა ვეღარ ამოვიღე და ქალის მშვენიერ ღაწვებს აღგზნებით დავეკონე.

არა! ასეთი აუმღვრეველი, ქაფ-მოუდებელი სულიერი სიმშვიდე, ამისთანა წმინდა, მხოლოდ ყოველგზით გარეცხილ ადამიანს ძალუძს. ჩემი ცოლი-კი არ უნდა ყოფილიყო ასე ზნეობრივ გახრწნილი.

მაშ, რას მოასწავებდა ეს კოცნა?

ნუ-თუ დასაჯერებელია ჩემის ცოლის განმარტება? ნუ-თუ ეს შემთხვევა მხოლოდ ბავშური ცელქობა იყო, მიმატი სილაღე ზნეობრივ ხელშეუხებელ ადამიანისა?!

ჰო, და, რა გასაკვირველია? რა არის აქ ისეთი უხამსი რამ? ქალმა გაეხინებელ ყმაწვილ კაცს სადღეღად აკოცა, რომ დამტკიცებინა, გრძნობა შეხებისა გადაბრუნებული გაქვსო... ისიც ნათესავს,—მართალია, შორი-მორეულს, მაგრამ მაინც ნათესავს!..

ან რა ყმაწვილ-კაცებში ჩასათვლელია ეს გრამატიკით და ლათინურით გონება-გამოყუებებული გიმნაზისტი? 18—19 წლის ლაპია.—ჩემი ცოლი-კი 27 წლის დარბაისელი დედაკაცია, ორის შვილის დედა, ოჯახის პატრონი...

არა, სასაცილოა... როგორ ულალატებს იგი ქმარს, შვილებს, ოჯახს კერას? და ვის გულისათვის? ჭყლიპ სიმინდივით უნიდილ, უწვერ-ულვაშო თავ-ქვეა ბაღანას გამო?

დიახ, სასაცილოა, სასაცილო ჩემი აღელვება, სულიერ კმაყოფილების დაკარგვა... თანაც სამარცხვინოა!.. ჭკუა-დამჯდარი კაცი ამისთანა სულელურ ეჭვს ადგილს აძლევს?.. ვაი ჩემი ბრალი, ცოლმა რომ ეჭვი ამა-

◆ ქალაქის გამგეობა შესდგომია კიდეც ტფილისში საშუალო სამრეწველო სასწავლებლის დაარსების საქმეს. სასწავლებელი ფინანსთა სამინისტროს უნდა დაექვემდებაროს („ც. ფ.“).

◆ იმავე გაზეთს შეუტყვია, რომ სახელმწიფო ქონებათა გამგეობა იმის ცდაშია, რაც შეიძლება მეტი შემოსავალი შეჰმატოს ხაზინას სახაზინო მიწების იჯარით გაცემით. სადაც-კი ხელი მიუწვდება, ამის ცდას არ ჰზოგავს.

ზაქათალის მხარეს, სოფ. ბელაქანში ამ ქამად სახელ-განთქმული ბაღია ჰაჯი-ისმაილ-ოღლისა. რომელი გამოფენა ყოფილა, რომ ჰაჯის პირველი საჩუქარი არ მიეღოს თავისს ბაღის ხილისათვის. ამ ბაღის ადგილები ამ 50 წლის წინად ჰაჯის მამას მიუღია საშვილიშვილო საკუთრებად ხაზინისაგან, მაგრამ იმ პირობით, რომ გაუვალი ადგილები გაეწმინდა და ბაღი გაეშენებინა. მამისა და თვითონ ჰაჯის მეცადინეობით დღეს ეს ბაღი ძვირფასია მთელს ზაქათალის მხარეს. დიდი შრომა და ფული დაუდვიათ პატრონთ ამისათვის. თვით სამიწათ-მოქმედო სამინისტროს შუამდგომლობით ჰაჯის შრომა უმაღლესად დაჯილდოვებული იყო სამინისტროსაგან ოქროს მედალით.

დღეს სახელმწიფო ქონებათა გამგეობა ჰაჯის მფლობელობას უარ-ჰყოფს და ამიტომ ჰაჯი-ისმაილ-ოღლიმ სასამართლოს მიჰმართა.

◆ ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთაწმინდის მიდამოდგან დაკარგულა სამი უღელი კამეჩი, რომლებიც სოფ. დოესელებს ეკუთვნოდათ; ქურდობას ერთაწმინდის მცხოვრებთ აბრალებენ, რომლებიც ბევრჯელ ყოფილან შემჩნეულნი, მაგრამ ხელი კი ვერავის დაედო მათთვის; ამ შემთხვევაში-კი გამოძიებას და ყველაფერს მათზედ მიაქვს კვალი. გორის მაზრის პოლიცია სასტიკად დაეძებს ამათ, მაგრამ ჯერ ვერ უპოვნიათ. ამას წინად ერთაწმინდაზედ კორესპონდენციაშიაც გვწერდნენ, რომ ერთაწმინდელების წმინდა წყალს ზოგიერთი ბოროტი კაცი ამღვრევს ხოლმე; მაზრის უფროსს ახლა მაინც ეძლევა საბუთი, რომ ამ გმირების სიმართლეს ჩაჰყვეს და ეგებ სამუდამოდ გაჰკურნოს ის წყლული, რომელიც ამ სოფლის კეთილ-დღეობასაც აფერხებს და არც არავის აძლევს მოსვენებას.

◆ 21 აგვისტოს წყნეთის ქუჩაზედ მცხოვრებმა მიხეილ ვასინმა სიმთვრალის დროს დალია კარბოლის სიმჟავე და რომ მიხეილის საავადმყოფოში ექიმებს არ ეშველათ, სიკვდილს არ გადურჩებოდა.

◆ 21 აგვისტოსვე განჯის მცხოვრებმა კევორქ მანგასაროვმა გამოუცხადა პოლიციას, რომ გონჩარნი ქუჩაზედ თავის სახლიდგან დაჰკარგა 4 ხალიჩა, 2 პალტო, ზამთრის ქუდი, სერთუკი, 3 ფუფაიკა და სხვა ნივთები, სულ 379 მანეთისა; ეჭვი არავისზედ მიუტანია.

◆ 21 აგვისტოსვე, ახალციხის მცხოვრებმა ყარდაშევმა ფეხში დასჭრა მეეზოვე სარიბეკოვი, როდესაც იგი უწესოების ჩადენისათვის პოლიციაში მიჰყავდა.

ჩვენებური ამბები

რიონ-ბალმის კუთხე. „ივერიის“ მე-173 ნომერში, სხვათა შორის, ჩემს წერილში იყო მოხსენებული, რომ „ს. შუამთაში ცეცხლი გაუჩნდა დიმიტრი ნაფეტვარიძის პარკის სახმობ ფარდულებს და დაიწვა დამზადებული პარკი 400 ფუთი“. რადგანაც ამ რიცხვის აღნიშვნა შეცდომით იყო, ამისათვის ვაუწყებ მკითხველებს ყოველივეს უფრო დაწვრილებით: როგორც აღმოჩნდა დავთრებიდგან, პარკი იყო ფარდულში ნედლი 1600 ფუთი, ნაყიდი ერთი მეორეზედ 17 მანეთად ფუთი.

ფარდული დაზღვეული არ ყოფილა, არამედ იყო დაზღვეული მარტო სამი წილი პარკისა 22,000 მანეთში პეტერბურგის კომპანიის „ნადეჟდას“ საზოგადოებაში. რადგანაც დაწყნარებული ღამე იყო, ვნება სხვას არავის მისცემია, თუმცა ორ-სამ საჟენზედ არის იქვე შენობა ბამბის სარჩევ-საპენტი მანქანით, რომელიც ეკუთნის ისევ დ. ნაფეტვარიძეს. თვითონ პატრონი ფარდულისა სახლში არ იყო; ის იმ დროს იმყოფებოდა ქ. ტფილისში, სადაც ვაჭრობს და სცხოვრებს უმეტეს ნაწილად. ეს მეოთხჯერაა მას რომ ცეცხლი გაუჩინეს და ყოველთვის დიდი ზარალი ნახა. ერთი წლის წინად დაუწვეს სახლკარი ყოველივე ნივთებით და ავეჯით. დაზღვეული არაფერი არ ჰქონდა, ეხლა-კი, ბევრჯელ დაზარალებულს, დაუზღვევია რამოდენიმე ნაწილი ქონებისა; ასე რომ ფარდული, ტილოს ფარდები და სხვა ხელსაწყო მასალები, აგრეთვე მეოთხედი პარკი, დაუზღვეველი იყო და მაინც ეზარალა პატრონს. მეორე დღესვე მობრძანდა სამტრედიის ნაწილის ბოქაული ბ-ნი იაჩენკო, შეადგინა ოქმი და ფარდულის დარაჯი დააპატიმრა.

20 აგვისტოს ბათუმიდგან მობრძანდნენ ბანკის ვექილი (აგენტი), დამზღვევი საზოგადოების ინსპექტორი და ბოქაული, რომლებმაც მოახდინეს ჯეროვანი გამოძიება.

—

სიმინდი და ღვინო უფრო გაძვირდა; ფუთი სიმინდი მანეთად გახდა, ღვინო-კი ჩაფი 5 მანეთად. სიმინდის სიძვირემ წისქვილებში დასაფქვავ სიმინდის ქურდობა გამოიწვია. მიუხედავად ღვინის სიძვირისა წელს „სამარიამოდ“ აქეთ სტუმრობა მაინც დიდი იყო. დღეობამ მშვიდობიანად ჩაიარა. ხარჯი-კი ბლომად იყო. სოფელს შუამთაში თვლება 70 კომლამდე; რომ ვიანგარიშოთ თვითეულ კომლზედ ხარჯი 20 მანეთი, ამაოდ დახარჯულის ჯამი 1400 მანეთს შეადგენს და ამ ფულად-კი ერთს ექიმს დაიქირავებდნენ, მაგრამ ვინ არის დამჯერებელი.

ვლადო ბზვანელი.

—

ასკანა (გურია). 19 აგვისტოს დილის მზის სხივები სრულიად არ იძლეოდა იმ უბედურების ნიშნებს, რომელიც შეუბრალებელმა სტიქიონმა თავს დაგვატეხა უმისოდაც დამშეულს ასკანელებს და უეჭველად მთელს გურიასაც. საღამოს ბრწყინვალე მზე დიდებულად ჩაესვენა შავის ზღვის ზვირთებში; მაგრამ ეს ჩასვენება რაღაც არა ჩვეულებრივი იყო. მთელი ზღვის პირი ტყვიის ფერმა და წითელმა ღრუბლებმა დაჰფარა. 8 საათზედ საშინელი გვრგვინვა ისმოდა ზღვის უფსკრულიდან. ღრუბლები ცელქად ერთმანეთში აირივნენ. ამ დროს მთელი ჩვენი სოფელი ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. ამაყად მოსჩანდა აჭარა-გურიის შიშველი მთები, მაგრამ სწორედ 9 საათზედ დაჰქროლა ძლიერმა ქვენა-ქარმა, გაისმა ძლიერი ჭექა-ქუხილი და დაუშვა კოკისპირული წვიმა. წვიმას მოჰყვა ძლიერი სეტყვა. ბუნება შეირყა, ძლიერი წვიმა და სეტყვა დრო-გამოშვებით ერთმანეთს უთმობდნენ ადგილს. ამას ზედ დაურთეთ უუსაშინელესი ქარი და მეხი და თქვენ წარმოიდგენთ იმ სურათს, რომლის მაყურებელნიც ჩვენ ვიყავით დილის 5-ს საათამდის. მაგრამ შეუბრალებელმა ბუნებამ ეს არ გვაკმარა. ღამის 1-ლ საათზედ დედა-მიწაც შეინძრა. სიმინდით საუცხოვოდ მოკაზმული ჩვენი მთები რამდენსამე ადგილას დასკდნენ. მთელი ყანები, სიმინდის ნალიები, კაკლის ხეები, ტყე, ქვეშ მოიტანეს და წარმოუდგენელის სისწრაფით და ხმაურობით, უამისოდაც ადიდებულს ბახმაროს მდინარეს შეუერთდნენ. მდინარემ დასტოვა თავისი კალაპოტი, წაიღო ყველა ჩვენი სიმინდის და ღომის თავ-თავებით დამშვენებული საუკეთესო ჰალები, ჩვენი საზოგადოების მარჩენელი შვიდივე წისქვილი, აუარებელი პირუტყვი და ფრინველი, ალმასხან ანდღულაძის მთელი სახლობა. ზარალი აუწერელია. წრევანდელი წელიწადი ნამდვილი სიმშილობის წელიწადი იყო ჩვენში. ფუთი სიმინდი მანეთად ფასობს. დღეს ისევ დაგვეღუპა მომავალი წლის სარჩო, ყურძენი და საუკეთესო ადგილ-მამულები. მთელი საზოგადოება უზომო სასოწარკვეთილებაში არის. არ იცის, რა ჰქნას საწყალმა კაცმა. იმედია, მთავრობა და საზოგადოება დახმარებას აღმოგვიჩენს.

პ. თალაკვაძე.

—

სამტრედიიდგან: ჩვენს მოხუცებულს დაბას რომ რკინის გზა არ აცხოველებდეს, თქვენი მტერია, ის დაბეჩავებული იქნებოდა და სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ექნებოდა. ვერაფერი წარმატებაა ჯერ აქ მაინც-და-მაინც. პირველ სექტემბრიდგან იხსნება მომრიგებელ სასამართლოს ნაწილი. ის თუ გამოაფხიზლებს კიდევ ცოტაოდნად, თორემ გლახათაა საქმე. წიგნთ-საცავ-სამკითხველო-კი დაბის ბოქაულის ლ. მახარაძის თაოსნობით ეხლა გამოკეთდა; ცალკე სადგომშია და მსახურიც ჰყავს და საკმაო სახსარიცა აქვს. იმავე ბოქაულის თაოსნობით ერთ-კლასიანი სასწავლებელი ორ-კლასიანად გადაკეთდა. მაგრამ ამ ორითდე სიკეთესთან აუარებელი ნაკლულევანება და საჭიროება აქვს დაბას: ამას წინად დაბის ბოქაულის ა. მირიანოვის და სხვათა თაოსნობით შესდგა განაჩენი ქსენონის დაარსების შესახებ.

ეს აზრი არ იამათ აქაურს მეაფთიაქეებს და საქმე შეჩერდა. სიტყვა-სიტყვად დარჩა, განაჩენიც გაჰქრა და ჯერ აღარავინ ხმას არ იღებს. დაბა ძლიერ საჭიროებს ქსენონს, რადგან თავისუფალი ექიმები ხშირად იცვლებიან, რკინის გზის ექიმს თავისი საქმეებიც ბევრი აქვს და რაოდენიმე თვეობით ხალხი უექიმოდ რჩება. ზემოხსენებულ პირთა თაოსნობით უნდა დაარსებულიყო აქაურ ორ-კლასიან სასწავლებელთან საკვირაო სკოლა, სადაც ისურვეს მუშაობა აქაურ და მახლობელ სკოლების მასწავლებლებმა. ჯერ-ჯერობით ვერც ეს განხორციელდა. გზები დაბაში უნუგეშო მდგომარეობაშია. დაბაში სულ 32 ფარანია; ქუჩების განათებაზე იხარჯება 230 მანეთი, ფარნები-კი სანახევროდ ღამე გაუნათებელია. თუ არ ჰყოფნის ფული, უნდა მოუმატოს განათების ხარჯს და გაუნათებელი-კი არ უნდა დარჩეს არც ერთი ფარანი. საჭიროა დაბაში გაკეთდეს ბულვარი, რომ მცხოვრებლებმა ხანდისხან წმინდა ჰაერზე გაისეირნონ ზაფხულის პაპანაქებაში. დროა დაბის „მამებმა“ ბოქაულის დახმარებით შეავსონ ეს ნაკლულევანებანი. ხმა დადის, რომ დაბის ბოქაული ბ-ნი ლ. მახარაძე გადაყვანილ იქმნა ტყიბულის ნაწილის ბოქაულად და მის მაგიერ ინიშნება სამაზრო სამმართველოს საქმის მწარმოებელი ი. ქართველიშვილი. ვისურვებთ, ბ-ნ ქართველიშვილს ჩვენი დაბის დანარჩენ საჭიროებისათვის მიექციოს ჯეროვანი ყურადღება.

ვლადო ბზვანელი.

—

ს. რუისპირი (თელავის მაზრა). აქ მოიტანა თ. რევაზ გრიგორის ძემ მაყაშვილმა თავის ხარჯით, ვგონებ, თორმეტი სეტყვის წინააღმდეგი მორტირი და ოთხსაც მოელიან. ეს თორმეტი მორტირი შემოუმწკრივა ირგვლივ რუის-პირს და არტოზანს. ამ თვის თხუთმეტამდის ყველა დამართეს სასროლად და კიდეც სცადეს და გაისროდეს.

17 ამ თვეს საღამო ხანზე მოიღრუბლა და დაიწყო ჭექა-ქუხილი და მოაყოლა ავდარი; თანაც სეტყვის ნიშნები აშკარად სჩანდა, მაგრამ ისეთნაირი სროლა ასტეხეს, რომ, გეგონებოდათ, ომია სადმე და ხელად გადაჰყარეს ღრუბლები და გადაარჩინეს სეტყვისაგან რუისპირი და არტოზანი. დაისეტყვა მხოლოდ ს. ოყიო, რომელიც იქმნება ექვსი-შვიდის ვერსის მანძილზე ს. რუისპირიდგან.

დღეს აქნობამდის თუმცა საუფლისწულო მამულებში ჰქონდათ მორტირები და კიდეც არჩენდნენ თავიანთ მამულებს სეტყვისაგან, მაგრამ დანამდვილებით არ სჯეროდა ხალხს, რადგან თავიანთ თვალით ვერ ჰხედავდნენ. ეხლა-კი დარწმუნდნენ; რომ მორტირები ნამდვილად სასარგებლოა, რადგან ყველამ ჰნახა ამ თვის 17-ს, თუ როგორ დაშალეს ღრუბლები; ყველა ამ მორტირებისკენ გარბოდა და უყურებდა სეირს. თუმცა ავდარი იყო, მაგრამ მაინც ყველა იქით მიივლტოდა. ვინც კი დაესწრო იქ, ასრე ამბობს: „ღმერთო, რა ჰქნეს ჩემი თვალით ვნახე, რომ სეტყვა იყო ზედ კარზედ მოსული და გააბრუნესო“. აი, ამისათვის ეხლა აქეთ მეტს ვეღარას გაიგონებთ. ყველა, დიდი და პატარა, იმას გაიძახის, რომ რაც უნდა გადამხდეს, გადავიხდი და მომავალ წლისთვის-კი უნდა უეჭველად დავიბაროთ ზარბაზნებით.

ამაზედ კიდეც მოულაპარაკნიათ და შესდგომიან ზოგიერთნი მამულების აღწერას, თუ ვის რამდენი დესეტინა მამული აქვს, რომ რაც დაჯდება მორტირების გამოწერა, დესეტინაზე გაიწეროს ფული. აზრადა აქვთ გამოიწერონ თვრამეტი ზარბაზანი ექვსმა სოფელმა: იყალთომ, აწყურმა, ზემო-ხოდაშენმა, ოყიომ, კოდოთომ და ჯანაანმა; ეს მორტირები დაიფარავს სეტყვისაგან მათს სახნავ-სათესს მინდვრებს და ვენახებს. როგორც გამოუანგარიშნიათ შინაურულად, თურმე სამასი თუმანი დაჯდება, მაგრამ დიდის სიამოვნებით ეგებებიან დიდი და პატარა ამ საქმეს, ოღონდ გვეშველოს რამე და სეტყვისგან გადავრჩეთო.

რუისპირელები მაყაშვილს ჰლოცავენ და გაიძახიან: „დავიღუპებოდით, თუ რომ მაგას არ ეშველა და ხელიდგან გამოგვცლოდა კარზედ მოსული მოსავალიო“. მართლაც და დიდის მადლობის ღირსია თ. მაყაშვილი, რომ გარდა რუისპირის სეტყვისგან გადარჩენისა, სხვებსაც მრავალს აღუძრა სურვილი ამ მორტირების შეძენისა.

აქეთ ენკენისთვის 15-მდე თითქმის ყველა მორჩება რთველს. ყურძენი კარგად მწიფდება.

შუა-მთის მონასტრის მღ.-მონაზონი ტარასი.

უცხოეთი

ინგლისი. ლაფანის სააგენტო იუწყება ნიუ-ორკიდგან, პატრიკ ეგანმა (რომელიც შეერთებულ შტატებში მეთაურობდა ირლანდიელთა უდიდესს ფარულს საზოგადოებას ჰან-ლა-გაელს) თავის თანამდებობაზედ უარი განაცხადაო. ღია წერილში, რომელიც მან გამოაქვეყნა, ნათქვამია, რომ ამ უკანასკნელს ხანებში, ერთის მხრივ პან-ნა-გაელისა და მეორეს მხრივ რედმონდსა და შეერთებულ ირლანდიის ლიგას შორის მეტად გამწვავდა დამოკიდებულებაო. ამ წერილს თურმე დიდი მითქმა მოთქმა გამოუწვევია საპოლიტიკო წრეებში, რადგან პატრიკ ეგანს დიდი გავლენა აქვს ირლანდიელთა შორის.

ცნობილმა დოქტორ ჯემსონმა გასულს ხუთშაბათს კაპის პარლამენტში პირველად წარმოსთქვა სიტყვა.

ორატორმა განაცხადა, ორ სესსიის განმავლობაში მხოლოდ თვალ-ყურს ვადევნებდი აქაურს სჯა-ბაასსა, მაგრამ ხმა არაფერზედ ამომიღიაო; ეხლა-კი დადგა დრო, რომ მეცა ვსთქვა რამეო. წინა კრებაზედ კამათის დროს დეპუტატმა ზაუერმა ბრძანა, პარლამენტში ჯემსონი—კარგი მოსამართლეა ყოველგვარ ცარცვა-გლეჯისა და ყაჩაღობისაო. მე კარგად მესმის, რასაც გულისხმობდა პატივცემული დეპუტატი: იმან გადმომკრა საზიზღარი

თვას... რა პირით-ღა უნდა შევხედო?

არა, არა! მომწყდი თავიდგან ცრუ წარმოდგენავ! რა ხელი გაქვს შენ ჩემთან? ჩემს ოჯახთან?!

ჩემი ცოლი პატიოსანია!

26 მაისი.

ფუი!

ამისთანა ხასიათის კაცმა ცოლი არ უნდა შეირთოს!

რაღაც ორჭოფი ადამიანი ვარ... გრძნობა გონებისათვის ვერ დამიმორჩილებია... ერთმანეთს ისე ეკრთიმლებიან, როგორც ავი რძალ-მული... რასაც ერთი იტყვის, უეჭველად მეორემ უნდა გააბათილოს!

ხომ გული დავაჯერე, თავი დავარწმუნე—ჩემი ეჭვი უსაფუძვლოა, ცუდის ქარით მონაბერია-მეთქი... მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, დიდ მანძილზედ არ გამყვა ასეთი რწმენა.

სულ უბრალო შემთხვევამ კვლავ ამიმღვრია დაწმენდილი ნადუღი გულისა.

ერთ ღამეს ჩვეულებისამებრ გულის ძილში ვიყავი... უეცრად ჩემის ცოლის საწოლ ოთახიდან (ცალ-ცალკე ვართ) ხმა მომესმა... გამეღვიძა...

უმცროსი ბალღი ტიროდა „დედა, დედაო“, იძახდა. ჩემი ცოლი ხმას არ იღებდა. ალბად, ძალიან ეძინა, ძიძა მეორე ოთახში იწვა და რას გაიგებდა.

ავდექი, გადავიცვი ხალათი და გაველ ოთახში ცოლის გასაღვიძებლად.

ბინდ ნათელის გამფანტავი ლამპარი ოდნავ ანათებდა ლოგინზედ წამომჯდარ ბალღს, რომელიც ფშრუკუნებდა და პაწია თათებით თვალებს იფშნეტდა.

მივუახლოვდი.

ჩემის ცოლის საწოლი ცარიელი დამხვდა. გამიკვირდა, მაგრამ მაინც ამ გარემოებას მაგრე რიგად ყურადღება არ მივაქციე. მოვუალერსე ბალღს, დავაწვინე და დავუწყე ცოლს ლოდინი.

მაინც არ მოდიოდა.

— სად უნდა იყოს?—გამიელვა უეცრად ფიქრმა. ამავე დროს ვიგრძენ, რომ ძარღვები ძალზე დამეძაგრა და სხეულში ცივმა ჟრუანტელმა დამირბინა. ავიღე აკანკალებულის ხელით სანათი და ანგარიშ-მიუცემლად გავწიე კოწიას ოთახისაკენ.

მე-კი არ მივდიოდი, რაღაც უჩინარი ძალა მკრავდა ხელსა.

ოთახს რომ მივუახლოვდი, მოულოდნელად კარები გაიღო და მის ზღრუბლზედ გამოჩნდა... ჩემი ცოლი...

დილის ხალათი ეცვა, აწეწილ-დაწეწილი, ღილებ-შეუკვრელი, რის გამო გულ-მკერდი მთლად მოტიტვლებული ჰქონდა. ეტყობოდა საჩქაროდ გადაეცვა სამოსი.

ის იყო, უნდა დამეჭექნა—აქ რას აკეთებ-მეთქი,— მაგრამ ცოლმა დამასწრო:

— წარმოიდგინე, კოწია ავად არის!.. საშინელი სიცხე მიუცია! იმისმა გმინვამ გამომაღვიძა... მეშინიან, ყმაწვილს ანთება არ დაემართოს... ისეც მთლად მოქანცულია ამ საზიზღარ ეგზამენებისაგან... ტერმომეტრისათვის მივდივარ და, სანამ მოვიდოდე, გვერდით მოუჯექ,—საბანი არ გადიძროს... შფოთავს!

კრინტი ვერ დავძარ, ისეთი მზრუნველობა და წუხილი იხატებოდა ქალის სახეზედ.

იმდენად ჭეშმარიტი, მოუჩვენებელი იყო ეს მზრუნველობა, ამავე დროს იმ ზომამდე იყო ქალი დამშვიდებული, რომ ერთი-ღა დამრჩენოდა—პატივი მეცა მის ადამიანურ ლმობიერებისათვის.

მე თითქოს კიდეც შემრცხვა ჩემის ჯაშუშურ საქციელისა და, რომ ქალისათვის ეს ამბავი არ გამემხილა, ბოდიშის ნიშნად, თავი ასე ვიმართლე:

— ბალღი ტირის-მეთქი.

ვსთქვი და შეველ კოწიასთან; კოწიას სახეზედ პირსახოცი ჰქონდა გადაფარებული და ხმას არ იღებდა.

მიველ და ხელი შუბლზედ დავადე, არ ვიცი, ღმერთმანი, მომეჩვენა, თუ ნამდვილად ასე იყო,—ცოტა არ იყოს, კოწიას შუბლმა ხელის გული შემიხურა.

დავეკითხე—როგორა ხარ-მეთქი.

— არა მიჭირს-რაო—მიპასუხა—ტყუილად სწუხდებით, გაივლისო.

გვერდით მოვუჯექ.

შემოვიდა ცოლი და ტერმომეტრით სიცხე გაუსინჯა ავადმყოფს. სიცხე 39,3-დე ასულიყო.—ასე მითხრა ცოლმა, მე-კი არ მინახავს.

ძალიან შეგვაწუხა ამ ამბავმა, მაგრამ თითონ კოწიამ დაგვამშვიდა—თავის თავად გაივლისო—და გვთხოვა—თუ ჩემი კარგად ყოფნა გინდათ, წადით და მოისვენეთო.

ჩვენც დავემორჩილეთ კოწიას სურვილს.

მეორე დღეს კოწიას ავადმყოფობისა არა ეტყობოდა-რა.

არა, რა არის ამ ამბავში ისეთი არა-ჩვეულებრივი, რომ მოსვენებას არ მაძლევს, მაცდური გრძნობავ?!

ნუ-თუ ქრისტიანული კაცთ-მოყვარეობა ცოდვად უნდა ჩავუთვალო ჩემ ცოლს და ცილი დავწამო?

ახლა, რაო, რომ მე არ გამაღვიძა და თითონ წავიდა საშველად? როგორც დის, მახლობელს, განა, უფლება არა ჰქონდა?! ან სად მოუვიდოდა ჩემის გაღვიძების ფიქრი ისე ანაზდეულად?

რაღა იმას შემოესმა კოწიას გმინვა და არა მე? უცნაურია!.. ალბად იმიტომ, რომ მე გუნებიერად მეძინა...

რატომ შვილის ტირილი-კი არ გაიგო?.. იქნება გაიგო კიდეც, მაგრამ ისევ ავადმყოფის მოვლა არჩია...

ის-ღა გაკლია, ტანისამოსის აწეწილობა ჩაურიცხო სათვალავში! სად მოასწრებდა ყველაფრის რიგზედ ჩაცმას?!

ახლა ეგ მოიგონე! დედაკაცი რად გადაიყვანა ამ ორის თვის წინად თავის ოთახიდგანაო. მერე რა? განა, საბუთი არა ჰქონდა? ვერ გაიგე,—„ხვრინვა დასჩემდა და ღამე ბალღებს მიღვიძებს“-ო!

არა! ტყუილად მებრძვი! უძლური ხარ, უძლური!

ჩემი ცოლი პატიოსანია!

8 ივნისი.

ჩემმა ცდამ გასჭრა!

სრულიად დავმშვიდდი!

ისეთი ხერხი მოვიგონე, რომ თვით მაკიაველსაც-კი მოუცდება ჩემთან დატოლება!

არა, რა კარგად დავიხსენ თავი ამ ხათაბალა ეჭვისაგან, რომელიც დღე-ღამ მოსვენებას არ მაძლევდა!..

როცა კოწიამ „კაცად მომწიფების“ ატესტატი მიიღო და სტუდენტის სერთუკით კოხტად გამოწყობილი პირველად შემოვიდა ჩვენთან,—გამარჯვება მივულოცე და გადავეხვიე.

ჩემმა ცოლმაც მიულოცა და ხელი ჩამოართვა.

მაგრამ ამას არ დავჯერდი.

— აკოცეთ-მეთქი ერთმანერთს!—ვუთხარი. ამასთანავე გაფაციცებით დავუწყე ორივეს ყურება.—აცა, ვნახოთ... თუ გაწითლდებიან, შერცხვებათ—ჩემი ეჭვი მართალი იქნება, რადგანაც ამისთანა წამს თვით ავაზაკიც-კი შედრკება, სულიერს მღელვარებას იგრძნობს... და თუ არა,—მაშინ ცუდის ზნის კაცი ვყოფილვარ, ტყუილ-უბრალოდ ამიკვიატებია ავყია აზრი-მეთქი.

ვერ წარმოიდგენთ ჩემს სიხარულს, როდესაც ქალ-ვაჟი აუღელვებლივ, და-ძმასავით გადაეხვივნენ ერთმანეთს.

იმ ზომამდე წმინდა და ვნება-უჩინარი იყო მათი ამბორი, რომ მაშინვე თავისუფლად ამოვისუნთქე, თითქოს უშველებელი ტვირთი მომეშორებინოს.

აღარავითარი პირქუში აზრი, წარმოდგენა აღარ მეკარება.

აი, ამ შემთხვევამაც-კი ვერ იმოქმედა ჩემზედ:

ერთხელ სასეირნოდ წავედით მე, ჩემი ცოლი და კოწია.

კოწია და ჩემი ცოლი ხელიხელ გაყრილნი წინ მიდიოდნენ, როგორც ნათესავთ შეჰშვენით. მე-კი, ვით უფროსი, ხანში შესული კაცი, დარბაისლურად უკან მივყვებოდი.

ამ დროს ვილაც-ვილაცეებმა გამოიარეს, დააცქერდნენ ჩემ ცოლსა და კოწიას, და, როცა მე დამიმხარდამხარდნენ, ღიმილით წაიდუდუნეს:

— რა შერჩეული ქალ-ვაჟია! ეტყობათ, შეყვარებულნი არიან!

აინუნშიაც არ მომივიდა ეს სიტყვები... განა, დიდმა ხანმა გაიარა მას აქეთ, რაც თითონ მე ცილსა ვწამებდი ამ ორ პატიოსან ადამიანს?!

ეს სიტყვები რომ წინად გამეგო, თმა ყალხზედ დამიდგებოდა და ჯოჯოხეთს ამ სოფლად განვიცდიდი! ახლა-კი სრულიად დამშვიდებული მივდევდი საამურად მოსაუბრე ქალვაჟს და, ვით ესტეტიკოსი, ვსტკბებოდი მათის მოხდენილობის იერით და ფრთა-შემსხმელ ახალგაზდობით.

ამ ბოლოს დროს კოწიამ საკვირვლად აიყარა ტანი და ბრგე-ლამაზ ვაჟკაცად გეჩვენებათ... სხარტი მოძრაობა, გამოქნილი გამოსახულება გულ-მკერდისა და ახლად აჯეჯილებული ულვაშები თვალნათლივად გამცნობთ, რომ კოწია, ეს არის, ეხლა იწყებს ცხოვრებას.

ჩემს ცოლს-კი, მართალია, ტანის ჰაეროვნება ჯერ არ დაუკარგავს, მაგრამ მაინც ეტყობა, რომ 28-ში გადამდგარა, ისეთი დარბაისლური იერი სდევს თითოეულს მის მიმოხვრას.

არა, ვინც რა უნდა სთქვას!

ჩემი ცოლი პატიოსანია!

12 ივნისი.

ხვალ-ზევით ჩემი ცოლი და კოწია სოფლად მიდიან... მე ივლისის ოცამდე ვერ მოვიცლი და მხოლოდ მაშინ თუ დავედევნები უკან. აგვისტოს ნახევარში კოწია პეტერბურგს წავა და ჩვენ-კი ტფილისს დავბრუნდებით, რომ საგზაო ფული მოვუხერხოთ... შემდეგისთვისაც აღვუთქვით დახმარება.

ეს სულ ჩემის ცოლის კეთილ ხასიათის ბრალია... მე აზრად არც-კი მომივიდოდა.

არა, ჩემი ცოლი პატიოსანია!

ილია ელეფთერიძე.

თავდასხმის შესახებ (abonimable raid); მაგრამ მათ, ვინც იმათში მონაწილეობდნენ, უკვე აღიარეს გულ-წრფელად თავისი დანაშაული და, ვგონებ, უმჯობესი იქნება დავიწყებას მივცეთ ეს საქმე.

— ინგლისური გაზეთები გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს ამერიკის საოკეანო სანაოსნო ამხანაგობებს (ტრესტებს). ამ ამხანაგობათა მოთავეს, პირმონტ მორგანს, მოლაპარაკება ჰქონდა გამართული, სხვათა შორის, „Curand“-ის საზოგადოებასთანაც—ჩვენს ამხანაგობას შემოუერთდითო.

ლივერპულიდგან მოსულ ცნობებით, ზემოხსენებული საზოგადოება უკვე შეჰკვრია პირობით მთავრობას; ამ პირობის ძალით მთავრობამ შესამჩნევად უნდა მოუმატოს იმ სუბსიდიას, რომელსაც აქამდე აძლევდა, მხოლოდ საზოგადოება ისევ მხოლოდ ინგლისის ვაჭრობა-მრეწველობას უნდა ემსახურებოდეს. მორგანს თითქმის გათავებული ჰქონდა მოლაპარაკება „Curand“-ის საზოგადოების საადმინისტრაციო საბჭოსთან, მაგრამ საბჭოს თავმჯდომარემ გადაჭრილი უარი განაცხადა ადმინისტრაციაში რაიმე ცვლილების მოხდენის შესახებ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ამერიკას უპირატესობა მიეცემა ინგლისის წინაშეო. ეხლა საქმე ისე დატრიალდა, რომ ეს უუდიდესი სანაოსნო საზოგადოება, ალბად, აღარ შეუერთდება ამერიკის ტრესტს.

— ხმა გავარდა, რომ ლორდი მილნერი თავს ანებებს სამხრეთ-აფრიკის მთავარ კამისარობასაო; მილნერი დაინიშნება გენერალ-გუბერნატორად კანადისა, ან ავსტრალიისა, როგორც თვითონ ირჩევსო.

შვეიცარია. ციურიხის ბურთა საზოგადო დამხმარებელ კომიტეტს სამხრეთ-აფრიკაში მყოფ ბურების გაჭირვებულ ოჯახობათა სასარგებლოდ ხელის მოწერა გაუმართავს და ჯერ-ჯერობით 150.000 ფრანკი შეუკრებია. ამ დღეებში კომიტეტის თავმჯდომარეს მიუმართავს ბურების გენერლებისათვის, რა დანიშნულება მივსცეთ ამ ფულსაო. გენერლებს უპასუხნიათ, ამ მოკლე ხანში ჩვენ თვითონ ვიქნებით ციურიხში და მაშინ, კომიტეტთან ერთად გადავსწყვეტთ, როგორ გავანაწილოთ ეგ თანხაო.

ოსმალეთი. სომხეთა პატრიარქსა და საეკკლესიო საბჭოს, ხონთქარის სურვილისამებრ, უქვეშევრდომილესი ადრესი მიურთმევიათ მისთვის. სამაგიეროდ ხონთქარი დაჰპირებია, განსაკუთრებულს ირადეს გამოვცემ და სომხეთა მრავალ სურვილს დავაკმაყოფილებო.

ბიბლიოგრაფია

„საქართველოს საექსარხოსო სასულიერო მოამბის“ შესახებ.

როგორც ვიცით, „საქართველოს საექსარხოსო სასულიერო მოამბე“ დაარსებულ იქმნა საქართველოს ექსარხოსად ნამყოფის განსვენებულის პალლადის მიერ 1891 წელს ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორის არქიმანდრიტის ნიკოლოზის რედაქტორობით (აწ სიმფეროპოლის ეპისკოპოსია). ამ ჟურნალის პროგრამაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ცნობებს საქართველოს საეკკლესიო ისტორიიდგან. საზოგადოდ ჟურნალის დაარსების აზრი იყო—შესწავლა საქართველოს დიდებულის წარსულისა უმთავრესად.

ამასთანავე ოფიციალური ნაწილი ამ ჟურნალისა ქართველ მღვდელთათვის იბეჭდებოდა უწმიდესის სინოდის ბრძანებით ქართულს ენაზედაც,—ხან-და-ხან იბეჭდებოდა ქადაგებანი და სხვა წერილები ამავე ენაზედ. ქართულს ენაზე ოფიციალურის ნაწილის ბეჭდვა მაშინ მით უმეტეს საჭირო საქმედ იყო მიჩნეული, რომ საქართველოს საექსარხოსოს რვაას მღვდელმა და 1800 მედავითნემ ქართული ენის მეტი არა იცის-რა. ეს სამღვდელონი ქართულის ენის საშუალებით იგებდნენ სასულიერო მთავრობის სხვა-და-სხვა განჩინებას, ბრძანებას და განკარგულებას და მით ეკკლესიის შეგნებულ წევრებად ითვლებოდნენ. 1901 წლამდის ხსენებულ ჟურნალის რედაქტორებად იყვნენ ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორები, რომელნიც შეძლებისა დაგვარად ჟურნალის პროგრამას ასრულებდნენ... მართლაც, მათის რედაქტორობის დროს დაბეჭდილ იქმნა ჟურნალში წერილები: საქართველოს წარსულის შესახებ ყოვლადსამღვდელო კირიონისა და ბ-თ: თ. ჟორდანიასი, დიმიტრი ჯანაშვილისა, ანტ. ნატროშვილისა, პოლ. კარბელაშვილისა, ილ. ფერაძისა და სხვათა ავტორთა, რომელთ ნაწერებს დიდის სიამოვნებით ჰბეჭდავდა რედაქცია ამას გარდა ჟურნალში იბეჭდებოდა ხანგამოშვებით რუს-ავტორთა სტატიები საზოგადო საისტორიო და სამეცნიერო ხასიათისა.

1901 წლიდგან რედაქტორად ამ ჟურნალისა დანიშნულ იქმნა საეკკლესიო სკოლების საოლქო მეთვალყურე დეკ. იოანე ვოსტორგოვი, რომლის ხელშიაც ეს ჟურნალი აგერ მეორე წელიწადია... პირველ ხანად ახალმა რედაქტორმა ჟურნალის ქართული ნაწილი გააძლიერა, — თუმცა რუსულის ნაწილის შინაარსი-კი ღარიბი იყო. ჟურნალის რუსულს ნაწილში იბეჭდებოდა მოძღვრებანი მამა ვოსტორგოვისა და სხვათა, ცნობანი საეკკლესიო სკოლების შესახებ იმავე ვოსტორგოვისა, სხვა-და-სხვა წერილები იმავე ავტორისა... საქართველოს წარსულის შესახებ ცნობები-კი ამ ჟურნალში ახალის რედაქციის ხელში ძლიერ ცოტა იბეჭდებოდა, ძველს რედაქციასთან შედარებით.

წელს, როგორც სჩანს, ამ ორის დღის წინად „კავკაზ“-ში დაბეჭდილ უწმ. სინოდის ბრძანებიდგან, მოსპობილ იქმნება, ამ ჟურნალში ოფიციალურის ნაწილის ბეჭდვა ქართულს ენაზე, ვინაიდგან, როგორც თქმულია ბრძანებაში, „მთელი საქმის წარმოება კავკასიასა და ამიერ-კავკასიაში სრულდება რუსულს ენაზე“...

ლ. რ.

წერილი

რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ უმორჩილესად მისცეთ ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთ „ივერიაში“ ამ ჩემს შემდეგ პასუხს:

თქვენს ამ წლის გაზეთში „ივერია“ № 154 სწერია, რომ „მშაკი“ აუწყებს ჰაისტანს—წელს ნერსისის გრიგორიანთ სემინარია დაასრულეს ხუციანცმა და გრძელიანცმა და მით კვერს არ დაუკრავდა ჩვენს გამნათლებელ ტერტერებს, რომელთაც ქართველ გრიგორიანების ხუციშვილისა და გრძელიშვილის ვაჟები ხუციანცად და გრძელიანცად ჩაუწერიათ. მე ხუციანცი, რომელმაც დავასრულე ნერსისიანის სემინარია, ვალად ვრაცხ გამოუცხადო თქვენს რედაქციას და თქვენის „ივერიის“ წამკითხველებს, რომ მე თქვენს „გამნათლებელ ტერტერებსა არ ჩაუწერივარ ხუციანცად; არამედ ძველის დროიდგანვე ჩემის გვარის მამა-პაპანი, როგორათაც მამეულის აგრეთვე დედეულის მხრით, ყოფილან ნამდვილი სომხები, ნამდვილი ჰაისტანის ღვიძლი შვილები, გადმოსულნი თვით ჰაისტანიდგან და თუმცა ჩვენი ენა დაგვივიწყნია და ქართულად ვლაპარაკობთ, მაგრამ არას დროს ფიქრადაც არ მოგვსვლია ვთხოვოთ ვისმეს ქართულად გვიწირონ ჩვენს ეკკლესიაში.

მთავარი სარქის ხუციანც.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

23 აგვისტო

პოზნანი. პასუხად პროვინციალურ ლადმარშალის სიტყვისა იმპერატორმა გამოსთქვა ეჭვი, რომ ნაწილი არა გერმანულ მოდგმისა ძნელად ეთვისება მონარქიულს წესებს. მიზეზად, ალბად, არის ტყუილი შიში კათოლიკეთა სარწმუნოების დაჩაგვრისა და გვარ-ტომობრივი განსაკუთრებული თვისებანი და ტრადიციები. ორივე შიში უსაფუძლოა, გარნა ტრადიციები ეკუთნის ისტორიას; მან იცის მხოლოდ პრუსია და ეცდება, რომ პროვინცია განუწყვეტლად შეკავშირებულ იყოს პრუსიასთან, რომ იგი მარად იყოს ჭეშმარიტად-პრუსიელი, გერმანელი.

ხარკოვი. დღეს არქეოლოგიურ კრებაზე წაიკითხეს მოხსენებანი გოროდცოვმა, სამოკვასოვმა, პოკროვსკიმ, პეტროვმა, ბოროზდინმა, აინალოვმა, დანილევიჩმა, რედინმა, ლაპოვსკიმ, მუზიჩენკომ და ლრონოვმა—ოთხს სექციაზედ თავმჯდომარეობით სიზოვისა, ლებედევისა, პავლუცკისა და ლინნიჩენკოსი. საღამოს სათავად-აზნაურო საკრებულოს დარბაზში ქალაქის მმართველობა გაუმასპინძლდა კრების წევრთ. დაესწრო 300 მეტი კაცი. ნადიმი მხიარული იყო.

პეტერბურგი. 13 აგვისტოდგან 21-მდე ხოლერით ავადმყოფთა რიცხვმა შესამჩნევად იკლო: კვანტუნისა, პრიმორსკისა, ამურისა და ზაბაიკალის მხარეებში, გარდა ვლადივოსტოკისა. ბაიკალის ტბის დასავლეთის მხარეს იყო მხოლოდ ერთი ავადმყოფი ჩელიაბინსკში.—ოდესაში ჩნდება ახალ-ახალი შემთხვევები საეჭვო ავადმყოფობისა ჭირით: 11-დგან 20-მდე ხელ-ახლა გახდა ავად 11 და მათგან მოკვდა ორი; სულ-კი 28 მაისიდგან ამ წლისა 21 ავადმყოფი იყო და მათგან გარდაიცვალა ხუთი. ოდესაში ხელ-ახლა გაიგზავნა ბაქტერიოლოგი პროფესორი ვისოცკი გადამდებ სენის წინაამდეგ ზომების მისაღებად. რადგან ახალშენს გილდენდორფს, ოდესის მაზრისა, აღმოჩნდა ჭირით საეჭვო ავადმყოფი, ხერსონის გუბერნატორს წინადადება მიეცა გახსნას საგუბერნიო სანიტარულ-აღმასრულებელ კომისიის მოქმედება და აგრეთვე სამაზროთა ოდესისა და და მის მახლობელ მაზრათა.

სახელმწიფო კონტროლიორის წასვლის გამო სახელმწიფო კონტროლის მართვა მიენდო სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგს ფილოსოფოვს.

ხელმწიფე იმპერატორმა უმოწყალესად ინება თავის მფარველობის ქვეშ მიიღო საიმპერატორო საზოგადოება ძველის მწიგნობრობისა.

ვარშავა. გასადიდებლად გადაზიდ-გადმოზიდვის პეტერბურგ-ვარშავის გზის მმართველობას, ადგილობრივ გაზეთების სიტყვით, შეაქვს 1903 წლის სმეტაში 1,200,000 მანეთი მეორე გზის გასაყვანად მალკინსა და ვარშავას შორის, სიგრძით 79 ვერსისა.

კიევი. სამხედრო მინისტრი გუშინ წავიდა დიდი მანევრების ადგილას კურსკის ახლოს.

ბერლინი. შუადღის 2 საათს გარდაიცვალა პროფესორი რუდოლფ ვირხოვი.

პორტ-კასტრისი (კუნძულს სანტა-ლუჩიაზე). მოვიდა გემი „გარ“ მარტინიკიდგან და მოიტანა ამბავი შესახებ ძლიერის აღმოხეთქისა წუხელ. ამბობენ, 2,000 კაცი დაიღუპაო. ბევრი მცხოვრები სტოვებს მარტინიკას.

ნიუ-იორკი. პრეზიდენტმა რუზველტმა დღეს ოისტერ-ბეიში მიიღო დიდი მთავარი ბორის ვლადიმირის ძე.

ნანტი. პოდპოლკოვნიკი სენ-რემი, რომელიც არ დაემორჩილა სამხედრო ბრძანებას, გაამართლეს, გარნა ერთის დღით საპყრობილეში ჩასმა გადასწყვიტეს იმისთვის, რომ არ აღასრულა სამოქალაქო მთავრობის ბრძანება.

პეტერბურგი. „კანონდებულებათა კრებულში“ დაბეჭდილია: უმაღლესად დამტკიცებული აზრი სახელმწიფო საბჭოში შესახებ სახელმწიფო სტიპენდიების წესების შეცვლისა სამედიცინო აკადემიაში, ურთიერთ დამხმარებელ სათავად-აზნაურო წესდების დამტკიცებისა; უმაღლესად დამტკიცებული მინისტრთა კომიტეტის დადგენილება, გაუქმდეს აკრძალვა შესახებ ჭაის თესლის გატანისა თურქესტანის მხრიდგან; უმაღლესნი ბრძანებანი შემოღებულ იქმნას აზიის საზღვრებზე უმაღლესად დამტკიცებული 24 მარტს და 26 აპრილს 1893 წელს წესები სახელმწიფოს საზღვრების დაცვისა სანიტარულის მხრივ, მიენდოს სამხედრო მინისტრს მიიღოს აღმასრულებლობითი ხელმძღვანელობა კვანტუნის ოლქის ხოლერის წინააღმდეგ ზომების მიღებაში, მიეცეთ განსაკუთრებული უფლებები ციმბირის გუბერნიების და ოლქების უფროსებს ხსენებულ გუბერნიებისა და ოლქების დასაცავად ხოლერისაგან, შესახებ სამხედრო ცხენების სიის შედგენისა ევროპისა და აზიის რუსეთში და განკარგულებანი ფინანსთა მინისტრისა.

ხარკოვი. არქეოლოგიურს კრებაზე წაკითხულ იქმნა მოხსენება პროფესორის სამოკვასოვისა რუსულ საარხივო კანონდებულებათა შესახებ. მომხსენებელმა კრებას წინადადება მისცა იშუამდგომლოს ხელმწიფე იმპერატორის წინაშე რუსულ საარხივო საქმის გაუმჯობესების შესახებ და ამიტომ კეთილ-ინებოს მიიღოს ეს საქმე თავის უმაღლეს მფარველობის ქვეშ. ეს წინადადება დიდის აღტაცებით მიიღეს.

ხარკოვი. არქეოლოგიურმა კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს, რათა დაუყოვნებლივ აღსრულებულ იქმნას საარხივო რეფორმა. 130 წევრი გაემგზავრება ხარიტონენკოში თხრა-ძიებისათვის.

24 აგვისტო

პეტერბურგი. გაზეთს „Русскій Инвалидъ“-ში დაბეჭდილია: ბოლგარიის განმათავისუფლებელ ომის ოც-და-ხუთის წლის დღესასწაულზე მიწვეულნი არიან ბოლგარიის მთავრობისაგან სხვათა შორის: სამსახურიდამ გამოსულნი გენერლები ლეო და გოლეხვასტოვი, გენერალ-ლეიტენანტები ევრეინოვი, კლეველალი, სარანჩოვი, ხუდიაკოვი, ბარანოვსკი, პოდეტიაგინი და ჩერნოზუბოვი და გენერალ-მაიორი სერვარელიძე. რადგანაც, მოკლე ხანის გამო, შეუძლებელია ზემოაღნიშნულ პირთა ადრესების ცნობაში მოყვანა, დაპატიჟების წერილები გაუგზავნელი დარჩა და მათ მისაღებად მიწვეულებმა უნდა აცნობონ თავიანთი ადრესი უმთავრეს შტაბს. ბოლგარიისაგან მიწვეულთა პირთა წასვლა დანიშნულია 11-ს სექტემბრისათვის სევასტოპოლიდამ. გაზ. „Церковныя Вѣдомости“-ში დაბეჭდილია მათის უდიდებულესობისაგან დამტკიცებული მოსაზრება ყოვლად უწმინდესის სინოდისა შესახებ ცვლილებისა შემადგენელ პირთა პედაგოგიურ კრებათა და სასულიერო სემინარიების გამგეობათა.

რიაზანი. ორი დღის სამეურნეო ცხენების გამოფენა გაიხსნა.

პეტერბურგის ბირჟა, 23 აგვისტო.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	46,05
პარიჟში 100 ფრანკში	37,40
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში ,,	46,25
პარიჟში ,,	37,60
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	466½ წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	353 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	289½ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ,, ,, ,,	470 გაყ.
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	380 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბ ა ქ ო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბ ა თ უ მ ი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბ ო რ ჯ ო მ ი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	9 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ქ. გორში

სამეფო ქუჩაზედ, არჩუაძის და მაისურაძის წიგნის მაღაზიაში ისყიდება, დაკლებულ ფასად, შეგირდებისათვის ყოველ გვარი სახელმძღვანელო წიგნი.

(30—6.—17)

ვაცხადებთ იმ წევრების საყურადღებოთ, ვისაც **ყვირილის თეატრის ამხანაგობის პაის ფული** სრულად არ აქვს გადახდილი, რომ უნდა გადაიხადონ **ენკენისთვის პირველამდის**. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის წევრი, ვინც მასზედ დარჩენილ ფულს არ შემოიტანს, ამხანაგობიდან გამოირიცხება და შემოტანილი ფულიკი დარჩება ამხანაგობის სასარგებლოდ.

გარეშე პირს თუ ვისმე ესურვება პაის ყიდვა, შეუძლიან მოგვმართოს შემდეგი ადრესით: Квирилы. Квирильское Театральное Т—во.--პაი ღირს ათი მანეთი.

თავმჯდომარე ამხანაგობისა

კნ. ბარბარე სპირიდონის ასული წერეთლისა·

(10—6.—5).

„GRAND PRIX“

PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К°

„Парфюмерія Рояль-Ралле“

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1902—1903 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით**. 5 **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა **და წერა-გაკრული და სწორიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა ‌ და დერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს **ს. პ. მანუელიანცს**, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსებზე სწავლა ყოველ დღე.

(24—361—20)

ფინანსთა სამინისტროს გამგეობაში მყოფი

საბუხჰალტერიო კურსებ

ნ. ვ. აბრაამიანისა,

ავტორისა „სავაჭრო, საქარხნო და სანავთ-მრეწველო ბუხგალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილების მიერ ვითარცა ხელშემწყობი წიგნი საკომერციო სასწავლებლებში სასწავლებლად.

ასწავლის და ამზადებს

ორისავე სქესის ახალგაზდებს პრაქტიკის შემწეობით საბუხგალტერო მუშაობისათვის 4 თვეში, თან ბუღდავანობასაც კისრულობს და, როცა საჭიროა, რეკომენდაციასაც გაუწევს.

ს წ ა ვ ლ ე ბ ი ს ს ა გ ნ ე ბ ი:

1) **ორ-მაგი იტალიური ბუხჰალტერია მრეწველობის ყოველ დარგისათვის, დაწმენდილის ნავთის საქარხნო წარმოებისა და ნავთ-მრეწველობის დარგის გამოუკლებლადაც-კი.** 2) **საკომერციო არითმეტიკა.** 3) **საკომერციო მიწერ-მოწერა (კორესპონდენცია)**. 4) **სავექილო და სავაჭრო მართლიერება.** 5) **კალიგრაფია და გასწორება სულ ცუდის ხელისაც-კი წერაში.**

მოსწავლენი მიიღებიან ყოველ დღე. სწავლა დაიწყება და იწარმოებს 1902 წლის 15 სექტემბრიდან და ყოველ 4 თვეს შემდეგ კვლავ განახლდება, ყოველდღე, ნასადილევს. ფასი 60 მან. მთლად კურსისათვის. კურსის გათავებისას მოსწავლეს ეძლევა დაწესებული მოწმობა, ნება-დართული წესდებისამებრ ფინანსთა სამინისტროს მიერ. მსურველთ ვსთხოვ მიჰმართონ წერილით ანუ პირადათ კურსების დამაარსებელს ტფილისში, ნიკოლოზის ქუჩა, № 46. პროგრამა უსასყიდლოდ გაეგზავნებათ. ზემოხსენებული სახელმძღვანელო ისყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიაში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს, ფასდადებისათვის არაფერს იხდის. თითო ეგზემპლიარის ფასია 3 მან. 50 კაპ. (25—379—24)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Августа 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი.